საერთაშორისო ურთიერთობები სამაგისტრო პროგრამა

1. ვინ საუბრობდა „კომუნიზმის შეკავების“ იდეაზე 1947წ.?
1. ჰარი ტრუმენი
2. ჯორჯ მარშალი
3. ნიკოლო მაკიაველი
4. ენდრიუ ჰეივუდი

2. რა ქმედებაში ხედავდა გამოსავალს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სიტუაციის სტაბილურობისათვის?
1. პარტნიორობაში
2. საფრთხეებში
3. რეგიონულ დესტაბილიზაციაში
4. ახალი მექანიზმების დანერგვაში

3. რამდენმა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას 1949 წელს?
1. 12
2. 14
3. 16
4. 10

4. რა იყო მარშალის გეგმის მეორე სახელმწოდება?
1. ევროპის აღორძინების პროგრამა
2. ევროპის გაერთიანების პროგრამა
3. გერმანიის გაერთიანების პროგრამა
4. ბირთვული შეკავების პროგრამა

5. რას მოიცავდა 1999 წელს მიღებული ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია?
1. სტრატეგიულ პერსპექტივებს, ალიანსის მიზნებს და ამოცანებს, უსაფრთხოების მიდგომებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს
2. უსაფრთხოებას, თანამშრომლობას
3. თავდაცვისა და ეკონომიკის საკითხებს
4. ევროკავშირთან ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს

6. რომელი სახელმწიფოები შეურთდნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს 1952 წელს?
1. საბერძნეთი და თურქეთი
2. იტალია და თურქეთი
3. გერმანია და საბერძნეთი

4. საფრანგეთი და საბერძნეთი

7. რეიგანის მომხრეები ლობირებდნენ ბირთვული იარაღის მიზნობრივი გამოყენების სტრატეგიას (NUTS) რაც გულისხმობდა:

1. ბირთვული ომის წარმოების შესაძლებლობას, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის ექნებოდა „შეზღუდული“ ბირთვული ომის წარმოების საშუალება, შეკავების პოლიტიკა გაძლიერდებოდა და ქვეყანაც გამარჯვებულის პოზიციაზე აღმოჩნდებოდა. (სწორი)
2. ბირთვული ომის წარმოების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანას, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ აშშ თუნდაც „შეზღუდული“ ფორმით ბირთვულ იარაღს გამოიყენებდა, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა;
3. ბირთვული ომის წარმოებაზე მეტად დაშინების გაძლიერებას, თუნდაც საპასუხო დარტყმის შიშის დანერგვით;
4. თავდასხმის პრევენციას საპასუხო დარტყმის მუქარის მეშვეობით.

8. სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (SDI) გულისხმობდა:

1. თავდასხმის საწინააღმდეგო თავდაცვითი ქოლგის შექმნისკენ მიმართულ ძალისხმევას; (სწორი)
2. ბირთვული იარაღის წარმოების გაყინვაზე მუშაობას;
3. ბირთვული იარაღის ახალი სისტემების განვითარებაზე მუშაობას;
4. თავდავიცვის მიზნით ბირთვული იარაღის მიზნობრივი გამოყენების სტრატეგიას.

9. აშშ-ის რომელ პრეზიდენტს ეკუთვნის წინასაარჩევნო დებატების დროს, მის ოპონენტთან გაჟღერებული რეპლიკა „დღეს თქვენ იმაზე უკეთ ცხოვრობთ ვიდრე ოთხი წლის წინ?“

1. რონალდ რეიგანს (სწორი)
2. ჯიმი კარტერს;
3. ჯერალდ ფორდს;
4. ჯოჯრ ბუშს (უფროსს)

10. ირან-კონტრას სკანდალი, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს, თავის თავში აერთიანებდა:

1. ნიკარაგუის საკითხსა და აშშ-ის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკას; (სწორი)

2. ნარკოიმპორტის კონტექსტში მთავარი პრობლემის კოლუმბიის საკითხსა და აშშ-ის მიერ ირანში მწვანე მოძრაობის მხარდაჭერას;
3. ირანში რეჟიმის შეცვლის შესახებ მსჯელობას და აშშ-ის მიერ ირანის ოპოზიციური ფლანგის მხარდაჭერის პოლიტიკას;
4. ირანსა და ნიკარაგუას შორის დადებული ანტი-ამერიკული გარიგების გამოაშკარავებას.

11. რა არის გენდერი?
1. სოციალური თანასწორობა
2. სოციალური სქესი.
3. ოსციალური დიკრიინაცია.
4. სოციალური ნიშნით ჩაგვრა.

12. ოპორტუნისტული მართვის დროს:
1. ადამიანებს არ გააჩნიათ სიტყვის თავისუფლება.
2. ადამიანები ერგებიან ყველა სიტუაციას მაქსიმალური სარგებელის მისაღებად.
3. ადამიანები იმსახურებენ ჯილდოს ერთგულებისათვის.
4. არცერთი პასუხი არ არის სწორე.

13. ის მოიცავს აღქმას, ინფორმაციის და მუშავებას, შემოქმედებით აზროვნებასა და მახსოვრობის უნარებს . ეს უნარები ბიოლოგიურია და არ არის დაკავშირებული გამოცდილებასთან, მას ზოგჯერ ფლუიდურს - დენად ინტელექტს უწოდებენ. რა სახის უნარებზეა საუბარი?
1. კოგნიტური უნარი.
2. ზოგადი უნარი.
3. ანალიტიკური უნარი.
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

14. ამ დოქტრინის მიხედვით, ამერიკის მმართველი წრეები აცხადებდნენ, რომ სსრკ-სა ან ჩინეთის მხრიდან ომის გამოცხადების შემთხვევაში, აშშ საპასუხოდ თავის ყველა ბირთვულ საშუალებას გამოიყენებდა. რა სახის დოქტინაზეა საუბარი?
1. ტრუმენის დოქტრინა
2. მონროს დოქტრინა
3. მასობრივი შურისძიების დოქტრინა
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

15. ვის ეკუთნის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა (რომელსაც ხშირად „ვარსკვლავთა ომებს“ უწოდებდნენ).

1. ჯიმი კარტერს
2. ჯორჯ ბუშს
3. რონალდ რეიგანს
4. რიჩარდ ნიქსონს

16. რა არის საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი ობიექტი?

1. სახელმწიფოთშორისი ურთიერთობები.
2. საერთაშორისო ორგანიზციებს შორის ურთიერთობები;
3. სახელმწიფოთშორისი ეკონომკური ურთიერთობები
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

17. ჩამოთვალეთ პოლიტიკური ეკონომიის ოთხი სისტემაა:

1. მერკანტილიზმი, ლიბრალიზმი, ეკონომიკიური ნაციონალიზმი, ლენინიზმი
2. ლიბრალიზმი, ეკონომიკიური ნაციონალიზმი, კონსერატიზმი, ახალი მემარჯვენეობა
3. მარქსისზმი, ლიბერტანიზმი, ეკონომიკიური ნაციონალიზმი, კონსერატიზმი,
4. მერკანტილიზმი, ლიბრალიზმი, ეკონომიკიური ნაციონალიზმი, მარქსისზმი.

18. სხვა ადამიანების ემოციური მდგომარეობის გაგება არის;

1. თვითცნობიერება;
2. სოციალური უნარი
3. ემპათია.
4. მოტივაცია.

19. რა ჰქვია პროცესს, რომლის მეშვეობით სახელმწიფოები ერთიერთდამოკიდებულბას აღიარებენ გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში და ქმნიან პოლიტიკურ მექანიზმებს მჭიდრო თანამშრომლობისთვის?

1. ჰეგემონია
2. ინტეგრაცია.
3. ფუნქციონალიზმი
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

20. ვის უკუთნის ნაშრომი ‘ანარქული საზოგადოება“?

1. ჯონ ლოკს
2. კარლ მარქსს
3. ჰედლეი ბულს
4. რუსოს

ლიტერატურა

1. კვეტენაძე ზ., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბ., 2017.
2. რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, მესამე შესწორებული გამოცემა, თბ., 2009.
3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ქრესთომატია. თბ., 2004.
4. ქ. ჯიჯეიშვილი, გ. ჩხიკვიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბ., 2019.
5. კვესელავა ი., შუბითიძე ვ., პაპაშვილი მ., ღუდუშაური ნ., პოლიტოლოგია, თბ., 2010.
6. პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი. საერთაშორისო პოლიტიკა, თნამედროვე თეორიები და ამოცანები. ილიას სახ. უნი. თბ,2014წ
7. ჯეიმს პოტერი. მედიაწიგნიერება.
8. გ. ნორთჰაუზი. ლიდერობა თერია და პრაქტიკა.2010
9. აბაშიძე ზ., ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა, თბ., 2009.
10. ჯონ მაკკორმიკი, ევროკავშირის პოლიტიკა, გვ. 87-114.
11. ბრიუს ჯენტლსონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, გვ. 226- 247.